პირველ რიგში ვადგენთ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის რა ფორმა არის სახეზე:

1. საქმიანობის საჯარო სამართლებრივი ფორმები:

1.1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (მე-2 მუხლის ,,დ~ პუნქტი);
1.2. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (მე-2 მუხლის ,,ე~ პუნქტი);
1.3. ადმინისტრაციული ხელშეკრულება (მე-2 მუხლის ,,ზ~ პუნქტი);
1.4. რეალური ანუ ფაქტობრივი მოქმედება (რეალაქტი).

2. საქმიანობის კერძო სამართლებრივი ფორმა:

2.1. სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება

ინდ.აქტის სქემა

1.1. სახეზეა თუ არა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ვადგენთ კოდექსის მე-2 მუხლის ,,დ~ პუნქტის შესაბამისად, ასევე სახელმძღვანელოში მოცემული აქტის ცნების ელემენტების განსაზღვრით:

ა. ადმინისტრაციული ორგანო-(ფუნქციონალური და ორგანიზაციული გაგება-კოდექსის მე-2 მუხლის ,,ა~ პუნქტი);

ბ. ადმინისტრაციული კანონმდებლობა-(იმ სამართლებრივი ბაზისის წარმოჩენა, რომლის საფუძველზე გამოიცა აქტი);

გ. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი- ინდივიდუალურ პირთა წრე ან კონკრეტული შემთხვევა;

დ. მოწესრიგება: აწესებს, ცვლის წყვეტს, ადასტურებს (აღმჭურველი, მავალებელი, ამკრძალავი აქტები).

შემდგომ ვადგენთ აქტის ფორმალურ და მატერიალურ კანონიერებას:

ფორმალური კანონიერება:

1. უფლებამოსილება (საგნობრივად და ტერიტორიულად უფლებამოსილი ორგანო
2. ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახე (მარტივი, ფორმალური ან საჯარო)
3. აქტის ფორმა (ზეპირი ან წერილობითი, რეკვიზიტები)
4. დასაბუთება (გამონაკლისი დასაბუთებისას) და აქვე იმ ორგანოს და ვადის მითითება, სადაც უნდა მოხდეს გასაჩივრება და რა ვადაში.

მატერიალური კანონიერება:

1. მოქმედ კანონებთან და სამართლის პრინციპებთან შესაბამისობა
2. უფლებამოსილების სამართლებრივი საფუძველი
3. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მართლზომიერება
4. თანაზომიერების პრინციპი
5. კონკრეტულობის პრინციპი

ფორმალური ან მატერიალური კანონიერების კრიტერიუმების დარღვევის აღმოჩენის შემდეგ ისაუბრებთ ინდ. აქტის გაუქმებაზე (ბათილობა ან ძალადაკარგულად გამოცხადება, ასევე თუ კაზუსიდან იკვეთება, კანონიერი ნდობის პრინციპზე).

ნორმატიული აქტი

1.2. სახეზეა თუ არა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იკვლევთ კოდექსის მე-2 მუხლის ,,ე~ პუნქტის შესაბამისად და სახელმძღვანელოში მოცემული ცნების ელემენტების მიხედვით:

ა. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო (იგივე წესი გამოიყენება, რაც ინდ. ააქტის შემთხვევაში)
ბ. საკანონმდებლო აქტი (განასხვავეთ, თუ ინდ. აქტი ადმინისტრაციული კანონმდებლობის საუძველზე გამოიცემა, ნორმატიულის საფუძველი მხოლოდ საკანონმდებლო აქტი უნდა იყოს)
გ. ქცევის ზოგადი წესი-განუსაზღვრელად მრავალი ურთიერთობის მრავალი მონაწილისათვის არის განკუთვნილი

ფორმალური კანონიერება:

1. ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება (განისაზღვრება იმ კანონით, რომელიც საფუძვლად უდევს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს)
2. ადმინისტრაციული წარმოების სახე (საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, ფორმალური და მარტივი წარმოების ცალკეული ელემენტები)
3. ფორმა (წერილობითი და რეკვიზიტები)
4. გამოქვეყნება (ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში)
5. რეგისტრაცია (საკანონმდებლო მაცნე)

მატერიალური კანონიერება:

1. გამოცემის საკანონმდებლო საფუძველი
2. კანონით განსაზღვრული ფორმალური მოთხოვნების დაცვა
3. საკანონმდებლო საფუძველთან შინაარსობრივი შესაბამისობა
4. არ ეწინააღმდეგება ზემდგომ სამართლებრივ ნორმას
5. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მართლზომიერება

ადმ. ხელშეკრულება

1.3. ადმინისტრაციული ხელშეკრულებას ვადგენთ კოდექსის მე-2 მუხლის ,,ზ~ პუნქტის საფუძველზე:

1. ადმინისტრაციული ორგანო
2. საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილება

ფორმალური კანონიერება:

1. ორმხრივი ნება
2. წერილობითი ფორმა
3. მესამე პირის ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა

მატერიალური კანონიერება:

1. სამოქალაქო და ადმინისტრაციული კოდექსების შესაბამის ნორმებთან შესაბამისობა
2. საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის სქემა:

1) რამდენად უფლებამოსილმა პიმა შეიტანა საჩივარი.

2)რამდენად უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში შეიტანა პირმა საჩივარი (178-ე მუხლი) .

3) საჩივრის წარდგენის ვადა (180-ე მუხლი)

4)საჩივრის ფორმა (181-ე მუხლი) 4) წარმომადგენლობა.

ეს დასაშვებობის ეტაპია, შემდეგ განვიხილავთ დასაბუთების ეტაპს.

1) ქმედების, ანუ საჩივრის წარდგენის ფორმალური და მატერიალური კანონიერება.

2) მოთხოვნა და მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისობა, მიღებული გადაწყვეტილების ფორმალური და მატერიალური კანონიერება.(ნორმებთან შესაბამისობა)

ზიანის სქემა:

1) ზიანის არსებობის ფაქტი.

2) სამართლებრივი საუძველი.

3)ვინ არის ზიანის გამომწვევი სუბიექი და ვინ არის ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი.

4) რამდენად მოქმედებდა პირი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

5)ეს დარღვევა მიმართული უნდა იყოს მესამე პირის მიმართ.

6)ბრალი

7)მიზეზობრივი კავშირი.

8)პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობა